



**ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში**

**ცვლილებები საგადასახადო კოდექსში**

2023 წლის 09 თებერვალს შევიდა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში (ასევე საქართველოს კანონში „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“, საქართველოს კანონში „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში). რომელიც ამოქმედდება 2024 წლის 01 ივნისიდან.

განხორციელებული ცვლილებებით დაწესდა ახალი სანებართვო საქმიანობის სახეები სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზებაზე, დადგინდა სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობები, სანებართვო პირობები და პასუხისმგებლობა სანებართვო პირობებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევებზე, ამასთან აიკრძალა საქართველოს შიდა საგზაო წყლებსა და საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ყველა სახეობის მცურავ ობიექტზე საქართველოში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მოწყობა.

**ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში**

2023 წლის თებერვალში საქართველოს ფინანსთა მინისტრის №39 ბრძანებით, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 01 მარტიდან. განხორციელებული ცვლილებით დაკორექტირდა არსებული რედაქცია რამდენიმე ნაწილში.

**ცვლილება მთავრობის დადგენილებაში**

2023 წლის 3 იანვარს საქართველოს მთავრობის დადგენილება №43-ით განხორციელდა ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 20 თებერვლიდან. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის ახალი საფასურების დადგენას, ასევე, საფასურის გადახდისგან გათავისუფლების ან განახევრების განსხვავებული პირობების შემოღებას, იმ პირებისთვის, რომლებიც შესაბამისი მომსახურების გაწევის მოთხოვნით შემოსავლების სამსახურს განცხადებას წარუდგენენ ელექტრონული ფორმით, მათივე ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან.

**სხვა საკანონმდებლო სიახლეები**

**საქართველოს კანონი საჯარო შესყიდვების შესახებ**

2023 წლის 9 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“, რომელიც ანაცვლებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს.

შესყიდვების სფეროში ახალი კანონის მიღება განპირობებულია საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების აუცილებლობით ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან.

ახალი კანონით იწერება ევროკავშირის 2014/24/EU, 89/665/EEC და 2009/81/EC დირექტივებით გათვალისწინებული ახალი ინსტიტუტები, ასევე ხდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით (SNGP) საჯარო შესყიდვების სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, საჯარო შესყიდვების სფეროში მანამდე არსებული კანონმდებლობისგან განსხვავებით ახალი კანონით

ხდება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებთან დაკავშირებული დებულებების შემოღება.

თავად კანონის სახელწოდების ცვლილება კანონის განმარტებითი ბარათის მიხედვით დასაბუთებულია იმით, რომ ტერმინი — „სახელმწიფო შესყიდვა“ არ უკავშირდება მხოლოდ სახელმწიფოს, შესაბამისად კანონმდებლის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული დასახელების ჩანაცვლება ტერმინით — „საჯარო შესყიდვა“.

„საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონი ადგენს ზოგად გამონაკლისებს, რომლის მიხედვითაც კანონის მოქმედება არ გავრცელდება შესყიდვების იმ ჩამონათვალის მიმართ, რომელიც მოცემულია ამავე კანონში. შესაბამისად იკრძალება სხვა გამონაკლისების დაშვება/გამოყენება, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ამ კანონით. ამის საპირისპიროდ, შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებზედაც არ გავრცელდა კანონის მოქმედება, ნება დაერთოთ შესყიდვა ნებაყოფლობით დაუქვემდებარონ ამ კანონის მოქმედებას.

საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის, რომ კანონით დგინდება საჯარო შესყიდვის სპეციალისტთა სავალდებულო სერტიფიცირების მოთხოვნა. შემსყიდველ ორგანიზაციებს დაევალებათ, რომ თავიანთ სტრუქტურაში განსაზღვრონ სამტატო ერთეული, რომელშიც დასაქმებული პირი უშუალოდ იქნება ჩართული საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაში. კანონის თანახმად, ასეთი პირები დაექვემდებარნენ საჯარო შესყიდვის სპეციალისტის სერტიფიცირებას.

კანონში ახლებურად რეგულირდება შავ სიასთან დაკავშირებული საკითხები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა მასში პირის რეგისტრაციის საფუძვლები. კერძოდ ეკონომიკური ოპერატორი რეგისტრირებული უნდა იქნეს შავ სიაში, თუ მაგალითად ეკონომიკური ოპერატორი ან პირი, რომელიც არის მისი მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რწმუნებული ან პირი, რომელსაც უფლება აქვს, შვილობილი საწარმოების საქმიანობაში ეკონომიკურ ოპერატორს წარმოადგენდეს, ნასამართლევია კანონში მოცემული რომელიმე დანაშაულის ჩადენისთვის, ან თუ ეკონომიკური ოპერატორი მიჩნეულ იქნა კონკურენციის წესების დამრღვევად, ასევე თუ სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურდა ეკონომიკური ოპერატორის მიერ შრომითი უფლებების დარღვევა ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა არასრულწლოვანის

დასაქმება აკრძალულ შემთხვევებში, ან მაგალითად შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების ვალდებულების შეუსრულებლობა, როცა ასეთი ვალდებულება დადგენილია და სხვა.

ახლებურად წესრიგდება საჯარო შესყიდვის პროცედურები, კერძოდ საჯარო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი პროცედურების გამოყენებით:

- ღია პროცედურა;
- შეზღუდული პროცედურა;
- კონკურენტული დიალოგი;
- ინოვაციური პარტნიორობა;
- კონკურსი;
- წინასწარი გამოქვეყნებით მოლაპარაკების პროცედურა;
- წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურა;
- საჯარო შესყიდვის პროცედურები სოციალურ და სხვა სპეციფიკურ სფეროებში მომსახურების შესყიდვის მიზნით.

კანონი დამატებით განსაზღვრავს საჯარო შესყიდვის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა:

- ჩარჩო შეთანხმება;
- დინამიკური შესყიდვის სისტემა;
- ელექტრონული რევერსული აუქციონი;
- ელექტრონული კატალოგი.

აღნიშნული დამატებითი საშუალებები შესაძლებელს ქმნის საჯარო შესყიდვები წარიმართოს შესყიდვის დამატებითი ინსტრუმენტების გამოყენებით.

კანონის მე-11 თავი ეთმობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული საჯარო შესყიდვების თავისებურებებს და ის ეფუძნება 2009/81/EC დირექტივის დებულებებს, ეროვნული კანონმდებლობის თავისებურებებისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის №222 განკარგულებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში გამოთქმულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

საჯარო შესყიდვების შესახებ კანონის მოქმედება გავრცელდება მხოლოდ 2025 წლის 1 იანვრიდან გამოცხადებულ საჯარო შესყიდვებზე. შესაბამისად 2025 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონი და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

კანონის ამოქმედება რამდენიმე ეტაპად არის დაგეგმილი კერძოდ, პირველ ეტაპზე, ამოქმედდება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული ძირითადი

დებულებები, შემდგომ – ორ ეტაპად ამოქმედდება საჯარო შესყიდვის სპეციალისტების სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ნორმები – თავდაპირველად 2027 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ იქნება აღნიშნული ინსტიტუტი და დაიწყება შესაბამის პირთა სერტიფიცირება. მას შემდეგ, რაც ამ პროცესის შედეგად, სახელმწიფოს ეყოლება სერტიფიცირებული კადრები, 2029 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება მეორე ეტაპი და შემსყიდველი ორგანიზაციის საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულში/თანამდებობაზე მხოლოდ ამ სერტიფიკატის მფლობელი პირების დასაქმება იქნება შესაძლებელი.

### „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, დადგინდა სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა აზარტული და მომგებიანი თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში, კერძოდ:

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზება,

დაექვემდებარა სანებართვო მოსაკრებელს წელიწადში 5 000 000 ლარის ოდენობით;

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზება, რომლის ნებართვა გაიცემა სამორინის მოწყობის ნებართვის საფუძველზე დაექვემდებარა სანებართვო მოსაკრებელს წელიწადში 100 000 ლარის ოდენობით;
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზებისთვის სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრა წელიწადში 1 000 000 ლარით;
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზებისას, რომლის ნებართვა გაიცემა სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის საფუძველზე, სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრა წელიწადში 100 000 ლარით;
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზებისთვის სანებართვო მოსაკრებლის ოდენობამ შეადგინა – წელიწადში 100 000 ლარი.

კანონში განხორციელებული ცვლილებები ამოქმედდება 2024 წლის 1 ივნისიდან.

#### Contact information

Bakertilly Georgia  
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.  
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge  
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.